ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი 13.12.2022წელი
16.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ელისო ჭიჭინაძე, ლოლიტა ურუშაძე, ზაზა წულაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, ემზარ თევდორაძე, კახა თედორაძე, სპარტაკ კვაჭაძე.
მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანაშემწე ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობისა საკითხებში **ლევან ჩხაიძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.**

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპული მებრძოლის, ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ

მომხსენებელი: /გიორგი იმნაიშვილი/

2. ,,ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: /გიორგი იმნაიშვილი/

3.სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 5 ; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული

მუშაობის ანგარიში სხდომას გააცნო მერის თანაშემწემ ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის საკითხებში **ლევან ჩხაიძემ.** აღნიშნა, რომ სამსახური შედგება სამი განყოფილებისგან, სივრცითი მოწყობის განყოფილება, ინფრასტრუქტურის განყოფილება და ეკონომიკის და საინვესტიციო პროექტების განყოფილება. სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ 2022 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 45 ნებართვა, გაიცა 52 შეთანხმება ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მშენებლობის მოსაკრებლის სახით შემოვიდა 217844,5 ლარი. სივრცითი მოწყობის განყოფილება საქართველოს სივრცითი განვითარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად ჩართული იყო გრიგოლეთის და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესში, უზრუნველყოფდა კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული მხარის დაგეგმარების პროცესში ჩართულობას.

ინფრასტრუქტურის განყოფილება აწარმოებს მოსახლეობასთან შემოსულ განცხადებების აღრიცხვას, კონტროლს და მათზე რეაგირებას.

ადგილზე შესწავლილი იქნა მოსახლეობიდან შემოსული 461 წერილი. მომზადდა დასკვნა -424, შესწავლის პროცესშია-32

მომზადდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საერთო ღირებულება-5367556, აქედან

ა)სოფლის პროგრამის ფარგლებში-748 000

ბ)ადგილობრივი ბიუჯეტით დასაფინანსებელი-361 481

გ) სტიქიის სალიკვიდაციო-3 879295

დ) რეგიონალური განვითარების ფონდის დასაფინანსებელი-387780.

განახორციელა ზედამხედველობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე საერთო თანხით-11772468. ახორციელებს კონტროლს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. 34 ხელშეკრულებაზე მონაწილეების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში, შერჩევა, შეფასების პროცესში. ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის ჯარიმა-337 153.

ეკონომიკის და საინვესტიციო პროექტების განყოფილების ინიციატივით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომლებიც გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას განვითარებაზე. მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილი, სადაც ნათლად არის წარმოჩენილი ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი რაც ინვესტორისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა ცნობად შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ,,ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა.**

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე და გადაეცეს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;
მომხრე: 5, წინააღმდეგი: არცერთი.

3. სხვადასხვა.
კომისიის წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ხიდმაღალას სასაფლაოსთან არსებული არხის გასწვრივ ჩამოიშალა მიწა, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს ძირითადათ, სასურველია გამოიყოს კომისია და მოხდეს დროული რეაგირება.
კომისიის წევრმა **ლოლიტა ურუშაძემ** განაცხადა, რომ ქალაქ ლანჩხუთში ნათლისმცემელის ქუჩის შესახვევში, სადაც ცხოვრობს 2008 წლის ომში გარდაცვლილის ემზარ წილოსანის ოჯახი, სასურველია დაიგოს ასფალბეტონის საფარი.
კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** გამოთქვა აზრი, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ერევიან ადგილზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევაში, რამდენად სამართლიანია ეს და რომელ თვითმმართველობაზე ვილაპარაკოთ ასეთ შემთხვევაში.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N10

ქ. ლანჩხუთი 13.12. 2022 წ.

2022 წლის 13 დეკემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

2. ,,ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გარეშე სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გარეშე სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მოწონებული იქნას ,,ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა და განსახილველად გადაეცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

13.12.2022 წელი
16:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	15 50	
2.	ემზარ თევდორაძე	—	არ ესწრებოდა
3.	სპარტაკ კვაჭაძე	—	არ ესწრებოდა
4.	ელისო ჭიჭინაძე	15 50	
5.	კახა თედორაძე	—	არ ესწრებოდა
6.	ლოლიტა ურუშაძე	15 55	
7.	ზაზა წულაძე	15 50	
8.	გივი ცინცაძე	—	არ ესწრებოდა
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	15 55	